

სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2014 წლის 09 ივნისის №49/2014 და 2017 წლის 17 მაისის N54/2017 დადგენილების საფუძველზე ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე აბიტურიენტების/მაგისტრანტობის კანდიდატების/ სტუდენტების შერჩევის კრიტერიუმებისა და ვადების განსაზღვრის წესი

1. ვაკანტური ადგილის არსებობის შემთხვევაში აბიტურიენტი/სტუდენტი/ მაგისტრანტობის კანდიდატი აბარებს გამოცდას შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ სწავლების ენაში.
2. ენის/ ენების გამოცდიდან თავისუფლდება აბიტურიენტი/სტუდენტი/ მაგისტრანტობის კანდიდატი, რომელიც წარმოადგენს ენის ცოდნის დამადასტურებელ საერთაშორისო სერტიფიკატს ან/და უცხოეთში/საქართველოში საბაზო/სრული ზოგადი ან მისი ეკვივალენტური განათლების დამადასტურებელ დოკუმენტს/უმაღლესი განათლების შესაბამისი კვალიფიკაციის დამადასტურებელ დოკუმენტს.
3. იმ აბიტურიენტის/სტუდენტის/ მაგისტრანტობის კანდიდატის ენის/ენების გამოცდიდან განთავისუფლებაზე, რომელიც წარმოადგენს ენის/ენების ცოდნის დამადასტურებელ საერთაშორისო სერტიფიკატს, გადაწყვეტილებას იღებს თსუს ენების შემსწავლელი ცენტრი.
4. ვაკანტური ადგილის არსებობის შემთხვევაში კანდიდატის შერჩევას ახორციელებს ფაკულტეტზე შექმნილი კომისია, ენის/ენების გამოცდაში მიღებული საუკეთესო შედეგების მიხედვით.
 - 4.1 აბიტურიენტის/სტუდენტის/მაგისტრანტობის კანდიდატის მიერ წარმოდგენილი ენის ცოდნის დამადასტურებელი საერთაშორისო სერტიფიკატის მიხედვით განისაზღვრება ქულა თსუსში მოქმედი შეფასების შესაბამისად.
 - 4.2 აბიტურიენტი/სტუდენტი/მაგისტრანტობის კანდიდატი კონკურსში არ მონაწილეობს და მისი ჩარიცხვა მოხდება კვოტის ზემოთ, თუ მის მიერ ენის/ენების ცოდნა დასტურდება უცხოეთში/საქართველოში საბაზო/სრული, ზოგადი ან მისი ეკვივალენტური განათლების დოკუმენტით/უმაღლესი განათლების შესაბამისი კვალიფიკაციის დოკუმენტით.

5. გამოცდა ენაში/ენებში ტარდება წერილობითი სახით. საგამოცდო ნამუშევრები ფასდება 100- ქულიანი სისტემით. გამოცდა ჩაბარებულად ითვლება, თუ აბიტურიენტი/სტუდენტი/მაგისტრანტობის კანდიდატი მიიღებს დადებით შეფასებას (მინიმუმ 51 ქულას).
6. ერთიანი ეროვნული/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე პირთათვის საბაკალავრო/სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებზე სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრისათვის საბუთების წარმოდგენის ბოლო ვადად განისაზღვროს ივნისი, ხოლო გაზაფხულის სემესტრისათვის - იანვარი.
7. საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე მაგისტრანტობის კანდიდატებისათვის გამოცდების ჩატარების ვადად ასევე განისაზღვრება საერთოსამაგისტროგამოცდაგავლილი მაგისტრანტობის კანდიდატებისათვის რექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დამტკიცებული საგამოცდო პერიოდი.
8. ერთიანი ეროვნული/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე პირთათვის შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ სწავლების ენაში გამოცდა ჩატარდება საბუთების მიღების დამთავრებიდან 2 კვირის ვადაში.
9. გამოცდის ჩატარებას უზრუნველყოფს თსუს საგამოცდო ცენტრი.
10. ენის/ენების გამოცდის ტესტების მომზადებასა და საგამოცდო ნაშრომების გასწორებას უზრუნველყოფს თსუს ენების შემსწავლელი ცენტრი, რომელიც პასუხისმგებელია ტესტის სისწორესა და გამოცდის შეფასების სიზუსტეზე.